პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 18 (406) პარასკევი, 5 მაისი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი 20 მილიარდი მანეთის თანხისა 20 წლის ვადით.

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლებულ იქნას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვებისა.

## კომუნიზმის მშენებლობის დიდი საქმისათვის

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა ხალხში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ. ეს საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანება სამაისო დღესასწაულების ერთგვარ გაგრძელებად მოგვევლინა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა საპირველმაისო დემონსტრაციაზე ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა სახელმწიფოსადმი, მშობლიური სტალინისადმი. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პატრიოტული აღმავლობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვების გამო ერთხელ კიდევ ცხადყოფს მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს სიმტკიცესა და უძლეველობას. ეს პატრიოტული აღფრთოვანება კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისადმი საბჭოთა ხალხის მზადყოფნისა და მისწრაფების ბრწყინვალე გამოხატულებაა.

საპირველმაისო დღესასწაული ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ კუთხეში საბჭოთა ხალხის შესანიშნავ გამარჯვებათა მკაფიო დემონსტრაციას წარმოადგენდა. მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერნი და ხელოვნების მუშაკნი, სტუდენტები და მოსწავლენი მტკიცე, შემჭიდროებული რიგებით გამოვიდნენ ქუჩებში, პროსპექტებსა და მოედნებზე. გამოვიდნენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლებისა და ბელადების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტებით, დიდი სტალინის სახელით გულში.

წითელი ბაირაღების ქვეშ დარაზმული ხალხმრავალი დემონსტრაციები — ეს მძლავრი ხმა იყო, მიმართული ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მოწოდება მშვიდობისაკენ მთელს მსოფლიოში.

ჯერ კიდევ სადღესასწაულო შთაბეჭდილებანი სუფევდა საბჭოთა ხალხში, რომ რადიოს ცნობამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ პოლიტიკური აღმავლობის ახალი ტალღა გამოიწვია. ქარხნებსა და ფაბრიკებში, ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სპორტულ საზოგადოებებში — ყველგან, სადაც კი ფეხი უდგას საბჭოთა ადამიანს, დაიწყო ერთსულოვანი ხელის მოწერა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე.

საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებიც საპირველმაისო დღესასწაულზე დემონსტრანტთა პირველ რიგებში იყვნენ, ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სესხს. მათ იციან, რომ ხალხის დანაზოგები ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მისი ძლიერების განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას მოხმარდება.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ წერილში სპორტის ოსტატები ო. ქორქია, ჯ. ნიჟარაძე, ნ. ჯორჯიკია და სხვები სიამაყით აღნიშნავენ: „ჩვენ ვიცით, რომ თვითეული მანეთი მოხმარდება ახალი საწარმოების, კლუბების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურის სასახლეების, სტადიონების, სპორტული მოედნების, სათხილამურო ბაზებისა და წყალჯომარდობის სადგურების მშენებლობას. აი, ესოდენი აღფრთოვანებით რატომ ვაწერთ ხელს ახალ სესხზე“.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებიც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის მებრძოლთა შორის ერთ-ერთი მოწინავენი არიან, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სოციალისტური სახელმწიფოსადმი თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ამჟღავნებენ. ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელის მოწერით ისინი კვლავ ამტკიცებენ, რომ მზად არიან შრომისა და საყვარელი სამშობლოს დაცვისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერა წარმატებით მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, გორის, ფოთის, ზუგდიდის, თელავისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურელები და სპორტსმენები აქტიურად ჩაებნენ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კამპანიაში.

ახალ სესხზე ხელის მოწერა წარმატებით ჩატარდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმში, მრავალრიცხოვან სპორტულ საზოგადოებებში და სხვ.

არც ერთი ფიზკულტურელი და სპორტსმენი ახალი სესხის უობლიგაციოდ!

## სამშობლოს კეთილდღეობისათვის

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

3 მაისს ქარხნის საამქროებში შედგა ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგები.

ლამაზად გაფორმებულ დარბაზში თავი მოიყარეს ამწყობი საამქროს მუშა-მოსამსახურეებმა. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ქარხნის უფროსი ამხ. დ. მამაცაშვილი. მან დამსწრეთ მოაგონა სესხის მნიშვნელობაზე სამამულო ომის წლებში, აგრეთვე ომისშემდგომ პერიოდში. ამხ. მამაცაშვილმა აღნიშნა, რომ ქარხნის კოლექტივი მუდამ ერთსულოვნად აწერდა სესხზე ხელს და იმედი გამოსთქვა, რომ ის ახლაც გამოიჩენს ორგანიზებულობასა და დარაზმულობას ამ საქმეში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე მუშები, ფიზკულტურელები ლ. სტეფანოვი, ხარატიშვილი და სხვები, რომელთაც მოუწოდეს დამსწრეთ მოაწერონ ხელი ახალ სესხზე, რადგან თვითეული დანაზოგი მანეთი მოხმარდება მშრომელთა ინტერესების საქმეს, ჩვენი ქვეყნის განმტკიცებისა და სიძლიერის საქმეს.

მილსადენსაკეთებელ საამქროში მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს წარმოების სტახანოველებმა, სპორტსმენებმა ა. ლაფაჩიმ, შ. ფოცხვერაშვილმა, მოტოსექციის ხელმძღვანელმა ორდენოსანმა ზ. ნადირაძემ. მათ განაცხადეს, რომ ხელს მოაწერენ რა ახალ სესხზე, შემდგომში გაორკეცებული ენერგიით იმუშავებენ, რათა სამშობლოს მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაჩაღდა ხელმოწერა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე.

**თ. სვენელი**

## პატრიოტული აღმავლობით

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა შორის არაჩვეულებრივი აღფრთოვანებაა. ყველას რადიოსთან მოუყრია თავი და სულგანაბული უსმენს მოსკოვის გადმოცემას ახალი სესხის გამოშვების შესახებ.

დამთავრდა რადიოგადაცემა. გავიდა ცოტა დრო და ინსტიტუტის კლუბი ხალხით აივსო. ინფორმაციით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის შესახებ გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი ამხ. დ. იოსელიანი. იგი დაწვრილებით შეჩერდა სახელმწიფო სესხების უდიდეს მნიშვნელობაზე და მოუწოდა მიტინგზე დამსწრეთ, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც ერთსულოვნად მოაწერონ ხელი სესხს.

ტრიბუნაზეა ფიზიკური აღზრდისა და მეთოდიკის კათედრის გამგე ამხ. ვ. ელიაშვილი. — ახალი სესხი, — ამბობს იგი, — კიდევ უფრო უძლეველს გახდის ჩვენს დიად საბჭოთა კავშირს. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხზე და მოვუწოდებ ამხანაგებს მიჰბაძონ ჩემს მაგალითს.

პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ანატომიის კათედრის გამგე გ. თვალაძე, ენების კათედრის გამგე ლ. შუბლაძე, მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი საქართველოს რეკორდსმენი ცურვაში თ. ტალიანსკაია, პირველთანრიგოსანი ნ. სნეგირიოვი და სტუდენტი გ. ელერდაშვილი.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერა პირველ დღესვე დამთავრდა.

**შ. თოთაძე**




პლაკატი მხატვარ ბ. ბერეზოვსკისა.

## ბათუმელ ფიზკულტურელთა წვლილი

**ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.).** აჭარის ფიზკულტურელები აღფრთოვანებით აძლევენ სესხად სახელმწიფოს თავიანთ დანაზოგებს.

დიდი აღმავლობით ჩატარდა პიონერთა პარკის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, მიძღვნილი ახალი სესხის გამოშვებისადმი. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ხალხურ ნიჩბოსნობაში ვალენტინა სერედა, რომელმაც განაცხადა:

— მე სიამოვნებით ვაძლევ დედასამშობლოს ჩემს დანაზოგებს. ღრმად მწამს, რომ ახალი სესხის ყოველი მანეთი მოხმარდება ჩვენი სამშობლოს წინსვლას, ჩვენი ხალხის კიდევ უფრო უკეთესი მომავლის დიად საქმეს.

დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი ახალ სესხზე საქართველოს ჩემპიონმა წყალბურთში გ. კალანდაძემ, სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის ფიზკულტურელებმა სტახანოველებმა გ. მახარაძემ, გ. დარჩიამ და მ. პარტენიანმა, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე ფიზკულტურელმა ქალებმა ა. ნესტეროვამ, შ. ალფიმოვამ და სხვებმა.

## ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის

როგორც კი დამთავრდა რადიოთი ახალი სესხის გამოშვების შესახებ მთავრობის დადგენილების გადმოცემა თბილისის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში შედგა სახელდახელო მიტინგი. იგი გახსნა ტექნიკუმის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. დ. კუპრავამ.

სიტყვით გამოსულმა ტექნიკუმის დირექტორმა ამხ. კ. ზიბილურმა შეკრებილთ გააცნო სახელმწიფო სესხების მნიშვნელობა.

— ყოველი მანეთი, — სთქვა მან, — რომელსაც ჩვენ სესხად მივცემთ საყვარელ სამშობლოს, მოხმარდება თვითეული ჩვენთაგანის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ ზრდას.

მიტინგის მონაწილენი აღფრთოვანებით შეხვდნენ ორატორის მოწოდებას ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხზე.

როგორც კი დამთავრდა მიტინგი, დაიწყო სესხზე ხელის მოწერა. მაგიდასთან პირველნი მიდიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. მეითარიანი, ლ. ძეკონსკი და სხვები, რომლებიც ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სესხს.

**ს. კვაჭაძე**

## დედასამშობლოს — ჩვენი დანაზოგები

უჩვეულო გამოცოცხლებაა საქართველოს დედაქალაქში. ფაბრიკებსა და ქარხნებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში საბჭოთა ადამიანები დიდი ენთუზიაზმით აწერენ ხელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე.

როგორც ყოველთვის, პატრიოტთა პირველ რიგებში არიან თბილისის ფიზკულტურელები და სპორტსმენები. ისინი თავიანთ დანაზოგს დიდი სიხარულით სესხად აძლევენ დედასამშობლოს.

ჩვენ ვიცით, რომ თვითეული მანეთი მოხმარდება ახალი საწარმოების, კლუბების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურის სასახლეების, სტადიონების, სპორტული მოედნების, სათხილამურო ბაზებისა და წყალჯომარდობის სადგურების მშენებლობას. აი, ესოდენი აღფრთოვანებით რატომ ვაწერთ ხელს ახალ სესხზე.

ვაწერთ რა ხელს ახალ სესხზე, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს. ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, მოვაწეროთ ხელი ახალ სესხზე!

**ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ჯ. ნიჟარაძე, ა. მესხი, მ. კეკელიძე, ლ. ინწკირველი,**

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის წევრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინ—სტალინის დიადი დროშით

## საპირველმაისო ზეიმი მოსკოვში

უდიდესი აღმავლობითა და აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა ხალხი პირველ მაისის დღესასწაულს.

მოსკოვში — დიადი საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან დედაქალაქში — შედგა საპირველმაისო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.

გრანდიოზულადაა მორთული წითელი მოედანი. ლენინის მავზოლეუმის პირდაპირ მოსჩანს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლებისა და ბელადების ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის უზარმაზარი პორტრეტები, სსრ კავშირის და თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო გერბები. ტილოებზე წარწერილი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი.

კრემლის კედლის გასწვრივ მდებარე ტრიბუნებზე არიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, სახელგანთქმული სტახანოველები, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ადმირალები, ოფიცრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული აქტივი.

აქვე არიან უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები: ჩინეთის, ბულგარეთის პროფკავშირთა, პოლონეთის, გერმანიის მშრომელთა, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაციები, ინგლისის მუშათა დელეგაცია და სხვები.

დღესასწაულს ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელნი და სამხედრო ატაშეები.

მქუხარე ტაშით ხვდებიან დამსწრენი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გამოჩენას ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

ამხანაგ სტალინთან ერთად მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. თ. შკირიატოვი. დამსწრენი მქუხარე ტაშით ეგებებიან მათ.

10 საათზე მაცხოვრის ალაყაფის კარებიდან ცხენით გამოდის პარადის მიმღები საბჭოთა არმიის გენერლური შტაბის უფროსი არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო. მას ხვდება პარადის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. არტემიევი.

პარადის სარდლისაგან პატაკის მიღების შემდეგ გენერალი შტემენკო ჩამოუვლის ჯარებს, ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე, მიდის მიკროფონთან და წარმოსთქვამს სიტყვას. ამხ. შტემენკო საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმება და ულოცავს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მეომრებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს და დღესასწაულის დამსწრე უცხოელ სტუმრებს პირველი მაისის დღესასწაულს.

გენერალ შტემენკოს სიტყვის დამთავრების შემდეგ დაიწყო ჯარების საზეიმო სვლა. პარადმა ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები საიმედოდ იცავენ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობას და მტკიცედ დგანან მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე.

ექვსნახევარ საათს გაგრძელდა მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია. მასში მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა კაცმა.

მოსკოველებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ცხადყვეს თავიანთი მხურვალე სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი და უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

სტალინი! ეს ყველაზე ძვირფასი სახელი პირზე ეკერა თვითეულ დემონსტრანტს. იგი ელვარებდა ათასობით ალამზე. ადამიანები სტალინის სახელს წარმოსთქვამდნენ, როგორც სამშობლოს ბედნიერებისა და ძლიერების სიმბოლოს, როგორც მშვიდობისა და ყველა ხალხის მეგობრობის სიმბოლოს.

სტალინური მზრუნველობით გამთბარმა საბჭოთა ადამიანებმა პირველი მაისის დღეს ცხადყვეს თავიანთი მზადყოფნა მომავალშიც ენერგიულად იბრძოლონ ახალი წარმატებებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებებში, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

* * *

პირველ მაისს საღამოთი მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში და გმირ ქალაქებში მიცემულ იქნა სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მედროშენი ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1 მაისს.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა

ილია ხოშტარია

## მაისი მოვიდა

ისევ მოვიდა მაისი,
ხეთა ფურცლობა გვახარა...
ბაღში გაშლილი ვარდების
სურნელი შემოგვაყარა.

ბუდეს მიაგნეს ფრთოსნებმა
მიტოვებულსა მთა-ბარად,
მთაწმინდის სიოს დაჰბერა,
გაჰკრეს მერცხლებმა კამარა.

გული გვიხარის, როს ვხედავთ
თვალუწვდენ მინდვრებს გადახნულს;
ჟუმლერით მრავალჟამიერ
კაცობრიობის გაზაფხულს!

მაისის დილის სხივებმა
შეამკეს მინდორ-ველები...
სტადიონებზე გამოჩნდნენ
ფეხმარდი ფეხბურთელები.

ხარბენ ბილიკზე გაიქრნენ!
სპორტსმენს რა ძალა ჰქონია...
მათი მკლავების მოქნევა
ირმის ნახტომი მგონია.

ისევ დამშვენდა ზეიმი
ფიზკულტურელთა პარადით...
ჩვენი ბელადი — სტალინი
დღეგრძელი იყოს მარადის!

5 მაისი ბოლშევიკური

ბეჭდვითი სიტყვის დღე

## ფიზკულტურელთა კედლის გაზეთი

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივია რესპუბლიკაში.

კომბინატში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფიზკულტურული ორგანიზაციის ყოველთვიური კედლის გაზეთი „ფიზკულტურელი“, რომელიც 1949 წლიდან რეგულარულად გამოდის.

გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში შედიან ოსტატის თანაშემწე გ. იაკოვლევა (პასუხისმგებელი რედაქტორი), წინდის მქსოველი რ. კაპანაძე, კონტროლიორი ვ. ლუკიანოვა და ლ. იაკოვლევა.

რედკოლეგიას შემოკრებილი ჰყავს კორესპონდენტთა აქტივი, რის შედეგად გაზეთი სრულად ასახავს ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობას, ავრცელებს მოწინავე ფიზკულტურელთა გამოცდილებას, კონკრეტული ფაქტებით ჰკიცხავს სპორტულ მეცადინეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, ავლენს ფიზკულტურულ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავს ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად.

სასურველია, რომ დედაქალაქის სხვა საწარმოთა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მაგალითი აიღონ სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისაგან და შეჰქმნან თავიანთი ძირეული ფიზკულტურული პრესა, რაც დიდად დაეხმარება მათ ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებაში.

ვ. ზარიძე

# საპირველმაისო პარადი და თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია

დიდი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს ქალაქ თბილისის მშრომელებმა პირველი მაისი—მშრომელთა სოლიდარობის დღე.

ქუჩები, პროსპექტები და მოედნები მორთულია ალისფერი დროშებით, ტრანსპარანტებით, ყვავილებით. ყველგან მოსჩანს ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პორტრეტები.

დიდი სიყვარულით არის მორთული ბერიას სახელობის მოედანი—სახალხო ზეიმის ტრადიციული ადგილი.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, რ. შადური, გ. ზამბახიძე, ზ. კეცხოველი, ვ. ბაქრაძე, ს. იმხანოვი, კ. ციმაკურიძე, მ. ლელაშვილი, ნ. რუხაძე, ი. კოჰლამაზაშვილი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტახანოველები, გენერლები.

დილის 10 საათია. არმიის გენერალი ა. ანტონოვი თბილისის გარნიზონის პარადის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ტარასოვისაგან პატაკის მიღების შემდეგ ჩამოუვლის მოედანზე ჩამწკრივებულ ჯარის ნაწილებს, მიესალმება მათ და ულოცავს 1 მაისის დღესასწაულს.

ჯარების შემოვლა დამთავრებულია. ამხ. ანტონოვი ადის ტრიბუნაზე და წარმოსთქვამს სიტყვას. იგი საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით ულოცავს ოლქის მეომრებსა და რესპუბლიკის მშრომელებს 1 მაისის დღესასწაულს.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. ანტონოვი დღეგრძელობას უსურვებს ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს. მოედანზე გუგუნებს მძლავრი „ვაშა“. გაისმის საარტილერიო სალუტი. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

იწყება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. საზეიმო მარშით ტრიბუნას ჩაუვლიან საბჭოთა მეომრები.

პარადი დამთავრებულია. რამდენიმე წუთი და გაისმის მარში... კიროვის ქუჩის მხრიდან გამოჩნდა მედროშეთა ჯგუფი. ესენი არიან საქართველოს დედაქალაქის ფიზკულტურელები თავიანთი საზოგადოებათა დროშებით. მათ წინ მოუძღვის რესპუბლიკის ერთ-ერთი გამოჩენილი სპორტის მოღვაწე, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე მ. ცხვედაძე.

კოლონების პირველ რიგში მოდიან თბილისის საუკეთესო სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი მშობლიური ქალაქი არაერთხელ ასახელეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები მოკრივე გ. ხანუკაშვილი, მოჭიდავე ვ. მაჩკალიანი, ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი გ. ახვლედიანი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოკრივე ა. ნავასარდოვი, სსრ კავშირის თასის მფლობელი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი სპორტის ოსტატების ო. ქორქიას და ნ. ჯორჯიკიას მეთაურობით.

სპორტული ბრძოლის ველებზე მოპოვებული ჯილდოებითა და თასებით მოდიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი სპარტაკიადის მონაწილენი.

ტრიბუნას ჩაუარეს „დინამოს“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“, „მედიკის“, სასპორტო კლუბების წარმომადგენლებმა, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების სტუდენტებმა და ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

მოედანს ავსებენ ნორჩი ფიზკულტურელები. ეს მოლოტოვის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები ჯგუფი აწარმოებს დაჭერვის ტიპის ვარჯიშებს.

თვალს ახარებს გამოწრთობილი ჭაბუკებისა და ქალიშვილების სპორტული დარაზმულობა და შეწყობილი მოძრაობა. 1.330 კაცი, როგორც ერთი, ასრულებს ტანვარჯიშულ ილეთებს.

შემდეგ მოედანი ერთი წუთით გადაიქცევა ქართული ჭიდაობის ასპარეზად. ჭაბუკ მოჭიდავეებს ცვლიან ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი მოცეკვავენი. დასასრულს ბავშვები ცოცხალი ყვავილების დიდ თაიგულს მიართმევენ ტრიბუნაზე მყოფთ.

წარმტაცი იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივის გამოსვლა. დოლის ხმაზე 400 მზემოკიდებული ჭაბუკი და ქალიშვილი ასრულებს რთულ ვარჯიშებს, რომლებიც მოითხოვენ ცალკეულ სპორტსმენთა უმწიკვლო ტექნიკასა და სერიოზულ წვრთნას. არც კი დამთავრებულა ჯგუფური გამოსვლები, რომ სპორტსმენთა თავზე აღმართულ „ხელოვნურ სცენაზე“ ტანმოვარჯიშენი კობახიძე და ჩიქიკოვა შეუდგნენ თავისუფალ ვარჯიშს. რომელიც შეიცავს სპორტული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის ელემენტებს.

ამავე დროს მსუბუქი მილებისაგან იმპროვიზებულ ღერძებსა და ორძელებზე, ერთმანეთის შეცვლით ვარჯიშობენ ჭაბუკები და ქალიშვილები. რგოლებზე კი თავიანთი ოსტატობა ცხადჰყვეს ინსტიტუტის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბაბილოძემ, პირველთანრიგოსნებმა კობახიძემ, თედეევმა, ქუბლაშვილმა.

ჩინებულად შესრულებული პირამიდითა და დიდი ბელადისადმი მიძღვნილი ლექსით მთავრდება ეს შესანიშნავი გამოსვლა. მას ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის—გამგე სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ჩიკვაიძე.

5.000-ზე მეტმა სპორტსმენმა ჩაიარა ამ დღეს ბერიას სახელობის მოედანზე. მათ ერთხელ კიდევ გამოამჟღავნეს თავიანთი სიყვარული სამშობლოსადმი, თავდადება პარტიისა და მთავრობისადმი.

მოედანზე შემოდიან მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეები. როგორც ყოველთვის, სადღესასწაულო დემონსტრაციას ხსნიან თბილისის უძველესი საწარმოს — ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, იმ ქარხნისა, სადაც რევოლუციის გარიჟრაჟზე დიდი სტალინი ხელმძღვანელობდა პირველ მარქსისტულ წრეებს, გაფიცვებს, მუშათა პოლიტიკურ დემონსტრაციებს.

აი, მოდიან საქართველოში წინასამაისო შეჯიბრების ინიციატორები—თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები. მათ წარმატებით შეასრულეს თავიანთი საწარმოო ვალდებულებები და ქვეყანას მისცეს ათობით ზეგეგმითი დაზგა. თბილისელი დაზგათმშენებლების სადღესასწაულო კოლონის წინ მოაქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წითელი დროშა, რომელიც მიენიჭა ქარხანას საწარმოო დავალებათა ჩინებულად განაღდებისათვის.

თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია გადაიქცა დიდი სტალინისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო გამოხატულებად.

განუწყვეტლივ გაისმოდა შეძახილები:

— დიდება დიდ სტალინს!

— „ვაშა“ ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

დემონსტრაცია წარმოადგენდა აგრეთვე საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ღრმა სიყვარულისა და მეგობრობის დადასტურებას ყველა ხალხის მიმართ, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ახალი იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

* * *

სადღესასწაულო დემონსტრაციები ჩატარდა აგრეთვე ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში.



ქ. თბილისის ფიზკულტურელთა კოლონა ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის XII ჩემპიონატი

## სეზონის გახსნა მოსკოვში

2 მაისს „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიხსნა საფეხბურთო სეზონი მოსკოვში. საზეიმო ვითარებაში სეზონის გახსნის ალამი აღმართეს მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. სოლოვიოვმა და ა. გომესმა (მოსკოვის „ტორპედო").

პარადის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სპორტულ საზოგადოებათა ფეხბურთელებმა, შედგა პირველი მატჩი დღესდღეობით. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი „დინამო" და სსრ კავშირის თასის მფლობელი „ტორპედო".

„ტორპედოს" ფეხბურთელებმა პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და იგი არ გაუშვიათ თითქმის მატჩის მთელ მანძილზე.

მეორე ტაიმის მეათე წუთზე „ტორპედოს" ფეხბურთელებმა გახსნეს ანგარიში. მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცოცხლეს თამაში დინამოელებმა, მაგრამ უშედეგოდ. შეხვედრა მოიგო „ტორპედომ" — 1:0.

* * *

2 მაისს შედგა კიდევ რამდენიმე მატჩი. ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდები. მატჩი მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 1:0. უშედეგოდ (0:0) დამთავრდა კუიბიშევში ჩატარებული შეხვედრა „კრილია სოვეტოვის" და სტალინგრადის „ტორპედოს" შორის. ასევე ფრედ — 1:1 დამთავრდა ხარკოვის „ლოკომოტივისა" და ცდკა-ს ფეხბურთელთა მატჩი. ამავე ანგარიშით დატოვეს მოედანი მინსკისა და კიევის დინამოელებმა. რიგაში „დაუგავამ" დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" (2:0), მაკეევკაში (დონბასი) სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდმა მოუგო „შახტიორს" — 2:1.

## მატჩები მაისში

**6.** ვვს — „ნეფტიანიკი" (ბაქო), „დაუგავა" (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი). **7. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (თბილისი), „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — „დინამო" (თბილისი),** „დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" (მოსკოვი), „დინამო" (კიევი) — ცდკა, „შახტიორი" (სტალინო) — „ტორპედო" (სტალინგრადი), „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (ლენინგრადი). **9.** ვვს — „დინამო" (ერევანი). **10.** „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა), „დინამო" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი), **„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „სპარტაკი" (თბილისი),** „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო). **11. „ტორპედო" (სტალინგრადი) — „დინამო" (თბილისი),** „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი). **12.** ცდკა — „შახტიორი" (სტალინო), „დინამო" (მინსკი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი). **14. „ტორპედო" (სტალინგრადი) — „სპარტაკი" (თბილისი),** „ტორპედო" (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა), „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (ლენინგრადი), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო). **15. ვვს — „დინამო" (თბილისი). 16.** „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი), „დინამო" (მინსკი) — „შახტიორი" (სტალინო), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ცდკა. **17.** „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი). **18.** „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (ერევანი). **20.** „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მინსკი), **ვვს — „სპარტაკი" (თბილისი),** „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი).

თამაშები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# ფეხბურთის მოედნებზე

## ორი შეხვედრა თბილისში

### „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი)
### „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ერევანი)

29 აპრილსა და 2 მაისს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები.

მინსკისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრის პირველი წუთები ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. მასპინძელთა თავდასხმის ხუთეულს გააზრებულ ხელმძღვანელობას უწევდა ბ. პაიჭაძე, რომელიც მარცხენა ფლანგიდან ხშირი გარღვევით მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მოწინააღმდეგეს. ამავე დროს მინსკის „დინამოს" თავდამსხმელები გრძელი გადაცემებითა და ლამაზი კომბინაციებით არაერთხელ ჰქმნიდნენ სახიფათო მომენტებს თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ უშედეგოდ.

ანგარიში გაიხსნა მე-19 წუთზე. მეკარე ანდრეევმა არასწორად მიიღო მაღლიდან დაშვებული ბურთი და იგი ბადეს შეეხო.

შემდგომში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს (35-ე წუთზე ლოლობერიძემ და 64-ე წუთზე შეველიანჩიკმა) და მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:1.

2 მაისს მწვანე მინდორზე ერთმანეთს შეხვდნენ ერევნისა და თბილისის დინამოელები.

მატჩი საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. პირველ ტაიმში უპირატესობა მასპინძელთა მხარეზე იყო, მაგრამ ორჯერ თოდრიამ და ერთხელ ზაზროშვილმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობა. შესვენების შემდეგ თამაში ორმხრივი შეტევით აღინიშნა, მაგრამ უშედეგოდ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

თუ პირველი შეხვედრა საუცხოოდ ჩაატარა ლენინგრადელმა მსაჯმა ზიაბლიკოვმა, მეორე მატჩში მსაჯი რუდნევი (მოსკოვი) სისტემატურად უშვებდა უხეშ შეცდომებს.

* * *

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი) — 0:0, „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ერევანი) 0:2.

## 2:0

**„ნეფტიანიკი" (ბაქო) — „სპარტაკი" (თბილისი). 2:0 (1:0). ბაქო. ლენინის სახელობის „ნეფტიანიკის" სტადიონი. 29 აპრილი. მსაჯი ს. რუდნევი (მოსკოვი).**

მატჩი დაიწყო ბაქოელმა მძაფრი შეტევით და სპარტაკელთა მცველები თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ თამაშში. თბილისელთა მეკარე ოსელიანს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

ბაქოელთა ერთ-ერთი იერიშის დროს კარგად ჩატარებული კომბინაცია დამთავრდა მამედოვის გარღვევით და თბილისელებმა თამაში ცენტრიდან დაიწყეს.

შესვენების შემდეგ ინიციატივას კვლავ მასპინძლები ინარჩუნებენ. მალე პავლიდის („ნეფტიანიკი") მიერ წამოწყებული კომბინაციის შედეგად შაგაროვი გაუდის მეკარის პირისპირ. დარტყმა... ანგარიშია 2:0 ბაქოელთა სასარგებლოდ. ეს შედეგი მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელებმა თავიანთ შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად ჩაატარეს შეხვედრა.

* * *

წინა დღით დუბლიორთა თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

(ჩვენი სპეც. კორ.)



ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს თბილისის „დინამოს" თავდამსხმელებმა ერევნელ თანაკლუბელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ სტუმრები გულმოდგინედ იგერიებდნენ მასპინძელთა იერიშებს. სურათზე: ერთ-ერთი დაძაბული მომენტი ერევნელთა კართან.

ფოტო კ. კრიმსკისა

## დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი

მეათე ტურით, რომელიც შედგა 26 აპრილს, დაიწყო ტურნირის მეორე წრე. ამ დღეს ყველა დაფაზე მწვავე და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. დამთავრდა მხოლოდ ერთი პარტია. ფლორმა არაზუსტად გაითამაშა დებიუტი ბოლესლავსკის წინააღმდეგ და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მალე ბოლესლავსკიმ მოიგო ორი პაიკი და 37-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. ამ გამარჯვებით მან მოაგროვა 7 ქულა და დაიმკვიდრა ლიდერობა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო, ისინი დამთავრებულ იქნა მეორე დღეს. სმისლოვმა კარგად გამოიყენა თავისი მატერიალური უპირატესობა და დაამარცხა ლილიენტალი. ყაიმით დამთავრდა კოტოვ-ნაიდორფის და კერეს-შტალბერგის პარტიები.

შეუპოვარი ბრძოლა იყო საბო-ბრონშტეინის პარტიაში. გადადებულ მდგომარეობაში უნგრელ დიდოსტატს ჰქონდა ზედმეტი პაიკი, მაგრამ საზრიანი თავდაცვით ბრონშტეინმა 72-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია.

3 მაისს შედგა მეთერთმეტე ტური. ლილიენტალმა დაამარცხა კოტოვი. ყაიმით დამთავრდა კერეს-ბოლესლავსკის, შტალბერგ-საბოსა და ნაიდორფ-ფლორის პარტიები. გადადებულია ბრონშტეინ-სმისლოვის შეხვედრა.

XI ტურის შემდეგ წინ მიდიან საბჭოთა დიდოსტატები ბოლესლავსკი (7½ ქულა) და კერესი (6½ ქულა).

გუშინ შედგა XII ტური.

## ახალი რეკორდები



ახალგაზრდა ველოსიპედისტმა ტ. ჯიმშელეიშვილმა ამას წინათ გააუმჯობესა მოსკოველ ნ. ცერევიტინოვის საკავშირო რეკორდი გიტში 500 მეტრზე ადგილიდან, დაფარა რა დისტანცია 39,9 წამში. გუშინწინ იგი კვლავ გამოვიდა ველოსტადიონზე რეკორდის დასამყარებლად. ბრწყინვალე სტილით ჩაატარა რა მარული, მან თავის რეკორდს 1,2 წამი ჩამოაკლო. რეკორდის დასამყარებლად ჯიმშელეიშვილს ამზადებდა მწვრთნელი ი. დიდებულიძე.

* * *

იმავე დღეს სპორტის ოსტატმა ა. გუნიამ 5 კილომეტრზე სალიდერო მარულაში (ლიდერი სპორტის ოსტატი გ. ლეჟავა) 30,9 წამით გააუმჯობესა ა. ხაბურზანიას მიერ 10 წლის წინათ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი. გუნიამ უჩვენა 5:09,4. ეს შედეგი 13 წამით ჩამორჩება ვ. პუშკინის (მოსკოვი) საკავშირო რეკორდს.

* * *

საქართველოს სამხედრო გზის 34-ე კილომეტრზე ამას წინათ ორი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენმა კ. ცალქალამანიძემ.

სამამულო მარკის 125 კბ. სმ. მოცულობის მოტოციკლით 1 კილომეტრი სვლით ახალგაზრდა ნიჭიერმა სპორტსმენმა დაფარა 37,2 წამში, ხოლო ადგილიდან — 43,7 წამში.

ორივე შედეგი აგრეთვე არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საკავშირო მიღწევაა. ძველი რეკორდები ეკუთვნოდა მოსკოველ ვრაჟეციენკოს და უდრიდა სვლით 37,6 წამს, ადგილიდან — 44,75 წამს.

**სურათზე:** კ. ცალქალამანიძე.

# საჭადრაკო ხელოვნების ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფისათვის

## საქართველოს XI ჩემპიონატის მთავარი მსაჯის შენიშვნები

საქართველოს XI საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, წინა შეჯიბრებებთან შედარებით იმით განსხვავდებოდა, რომ მონაწილეთა უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენდა.

ტურნირში ვერ ითამაშა რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონმა ა. ფირცხალავამ, ხოლო ა. ებრალიძემ, რომელმაც ვერ გამოიჩინა სპორტის ოსტატისათვის შესაფერი დისციპლინა, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა გამოიყვანა შეჯიბრების მონაწილეთა შემადგენლობიდან და მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა. საყვედურის ღირსია ო. კაკაბაძეც, რომელმაც კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო და თამაშებზე კი აღარ გამოცხადებულა.

ოცდარვა დღის ცხარე ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილი და საქართველოს 1950 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ალექსანდრე ბლაგიძემ. მან მთელი ტურნირი თანაბარი სიძლიერით ჩაატარა და 17 შესაძლებლობიდან 13½ ქულა შეაგროვა (11 მოგება, 5 ყაიმი, 1 წაგება).

ბლაგიძემ დიდი ოსტატობით გაითამაშა მთელი რიგი პარტიები (შიშოვის, გერშკოვიჩის, მალაშხიას, გაგუას და სხვათა წინააღმდეგ) და კარგი ფინიშით (4 ქულა ხუთი უკანასკნელი ტურიდან) პირველი ადგილი დაიმკვიდრა. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ენერგიული მუშაობით იგი გამოასწორებს ნაკლოვანებებს და მიაღწევს სსრ კავშირის ოსტატის საპატიო წოდებას. ნაკლოვანებები კი მას აქვს, რომელთა შორის მთავარია საკუთარ ძალაში გადაჭარბებული რწმენა.

მეორე და მესამე ადგილი 12½ ქულით მოიპოვეს ოსტატობის კანდიდატებმა ნ. სოროკინმა და მ. შიშოვმა. მართალია, სოროკინი მე-15 ტურამდე დაუმარცხებლად მიდიოდა, მაგრამ მას მთელ რიგ პარტიებში (არზუმანიანთან, გიორგაძესთან, ინწკირველთან) ძლიერ საეჭვო პოზიციები ჰქონდა. მხოლოდ მრავალი წლის გამოცდილებამ და აღნიშნულ მოწინააღმდეგეთა სუსტმა თამაშმა იხსნა იგი უეჭველი დამარცხებისაგან. აქვე უნდა ითქვას, რომ სოროკინმა დამსახურებულად მოუგო შიშოვს, გაგუას, ალამალიანს. შიშოვის მიღწევა დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს უდაოდ გამოცდილი და ძლიერი მოჭადრაკე, ცუდ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა.

ტურნირის უხუცესმა მონაწილემ ვ. ალამალიანმა, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა, დაამტკიცა, რომ გამარჯვებისაკენ ლტოლვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველ პარტიაში იგი მოგებისაკენ ისწრაფოდა და მან თავის საჭადრაკო კარიერაში საუკეთესო შედეგს მიაღწია (11 გამარჯვება, 5 წაგება და ერთი ყაიმი).

მეხუთე ადგილი დაიკავა უდაოდ ნიჭიერმა და მზარდმა მოჭადრაკემ — ოსტატობის კანდიდატმა ა. ბუსლაევმა. ტურნირში მის უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს თითქმის ქრონიკული ცაიტნოტებისაგან თავის დაღწევა.

ლ. გერშკოვიჩმა 10½ ქულით დაიკავა მეექვსე ადგილი. იგი კარგი ტექნიკოსია, მაგრამ, საერთოდ, ცოტას თამაშობს და ნაკლებად მუშაობს თავისი ცოდნის გაღრმავებაზე.

მეშვიდე ადგილზე გამოვიდა ა. გაგუა, რომელიც უთუოდ ნიჭიერი, მზარდი მოჭადრაკეა.

მე-8, 9, 10 ადგილები 9-9 ქულით გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა გ. ქარსელიძემ და პირველთანრიგოსნებმა ი. კრიხელმა და გ. არონშტეინმა. ქარსელაძე ბევრ დროს ანდომებს ჭადრაკს და მისგან უკეთეს შედეგებს მოველით. ახალგაზრდა კრიხელი სერიოზული მოთამაშეა, მაგრამ მის სტილს მეტი სიმწვავე სჭირდება. იგი, ისევე როგორც არონშტეინი, არაა წინააღმდეგი თუნდაც მე-12 სვლაზე დაეთანხმოს მოწინააღმდეგეს ყაიმზე. მსგავს საქციელს გამობრძმედილ დიდოსტატებს უწუნებენ და ახალგაზრდებისათვის, რომელნიც რესპუბლიკის ჩემპიონატში პირველად თამაშობენ, იგი დაუშვებლად ჩაითვლება.

უკეთესად შეეძლოთ ეთამაშათ თ. გიორგაძესა და ვ. მალაშხიას. დამაკმაყოფილებელ შედეგს მიაღწია გ. კირკიტაძემ (ჩხარი), თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მას რაიონში ნაკლებად უხდება ვარჯიში. მორჩილაძის 1,5 ქულა და უკანასკნელი ადგილი იმას მოწმობს, რომ საჭიროა უფრო მეტი მუშაობა საქართველოს რაიონებში ჭადრაკის დონის ასამაღლებლად. დამაფიქრებელია, რომ თითქმის სრულიად ვერ ვხედავთ ფინალურ შეჯიბრებებში ახალგაზრდა ნიჭიერ ძალებს ისეთი ქალაქებიდანაც კი, როგორიცაა ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, გორი. რაიონებიდან ჩამოსულნი ტექნიკის მხრივ ბევრად ჩამორჩებიან თბილისის მოჭადრაკეებს და ყოველთვის ცხრილის ბოლოში ხვდებიან. ჩანს, მარტო ნახევარფინალური შეჯიბრებების ჩატარება რაიონულ ცენტრებში არ კმარა. საჭიროა უფრო ენერგიული მუშაობის ჩატარება თბილისის მოჭადრაკეთა მივლინებით რაიონებში ამ მუშაობის გასაშლელად.

საქართველოს მოჭადრაკეებმა, რომელთაც ყოველგვარი პირობები გააჩნიათ თავიანთი ოსტატობის ამაღლებისათვის, სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატარონ იმისათვის, რათა საჭადრაკო ხელოვნება ჩვენს რესპუბლიკაში მაღალ საფეხურზე ავიდეს. ამისათვის საჭიროა დაუღალავი მუშაობა თეორიისა და ტექნიკის სრულყოფისათვის.

ა. ლონდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლის აღსაზრდელი თ. აფინოგენოვა კარგ სწავლას წარმატებით უთავსებს სპორტულ მეცადინეობას. მას განსაკუთრებით მძლეოსნობა აინტერესებს. სურათზე: თ. აფინოგენოვა ვარჯიშობს სიმაღლეზე ხტომაში.

ფოტო მ. დავითაძისა,

# რეკორდები წყალჯომარდობის ბილიკებზე

**მოსკოვი.** (ჩვენი კორ.). 4 დღეს გრძელდებოდა № 1 აუზში სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ცურვაში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონების საპატიო წოდებას ერთმანეთს ეცილებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ტალინის, გორკისა და სხვა ქალაქების 150 უძლიერესი მოცურავე. პირველობა აღინიშნა მონაწილეთა სპორტულ-ტექნიკური შედეგების შარშანდელზე გაცილებით მაღალი დონით.

შეჯიბრებებზე დამყარებულ იქნა 11 საკავშირო და 1 მსოფლიო რეკორდი.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. მეშკოვმა ბატერფლაის სტილით ცურვაში 100 მეტრზე უჩვენა 1:06,8, რითაც თავისი მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა 0,2 წამით. საზღვარგარეთელ მოცურავეთა (ამერიკელი ჰოუგი) საუკეთესო მიღწევას მეშკოვმა აჯობა 0,5 წამით.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტორპედოელმა ვ. უშაკოვმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უჩვენა 2:08,8, მან 0,1 წამით გააუმჯობესა ლ. მეშკოვის საკავშირო რეკორდი. უშაკოვის მიღწევა მეორეა ევროპაში და მეხუთე მსოფლიოში ამ უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე.

სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა გუნდებმა 4×100 მ. ამანათცურვაში ბრასის სტილით დაამყარეს ახალი საკავშირო რეკორდები. ლ. მეშკოვმა, ი. დურეიკომ, ე. ედასიმ და ი. ფომიჩევმა დისტანცია დაფარეს 5:01,4, რითაც სსრ კავშირის ნაკრების რეკორდს აჯობეს 2,3 წამით. ამ ამანათცურვის პირველ ეტაპზე მიცურავდა მეშკოვი, რომელმაც 100 მეტრი დაფარა 1:12,7. ეს შედეგიც საკავშირო რეკორდია.

მ. გავრიშმა, ვ. ლეშინამ, ტ. პოლიგალოვამ და ლ. სობოლევამ დისტანციაზე აჩვენეს 5:49,8, გააუმჯობესეს რა წინანდელი რეკორდი 5,2 წამით.

შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელმა 17 წლის სპორტსმენმა ვ. ზემლიანსკიმ, რომელმაც დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი 300 მეტრზე გვერდით ცურვაში. მან დისტანცია დაფარა 3:49,1.

ახალი საკავშირო რეკორდი 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში დაამყარა დინამოელმა მ. გავრიშმა (3:01,4) და სხვ.

# საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გამარჯვება

**ლენინგრადი.** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ნაუკას" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური საკავშირო პირველობა ტანვარჯიშში.

საინტერესო ბრძოლების შედეგად პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს კოლექტივმა.

განსაკუთრებით კარგ შედეგს მიაღწია ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა თ. სანებლიძემ (თბილისი.) მან მოიგო ვარჯიში 6 იარაღზე და „ნაუკას" აბსოლუტური ჩემპიონის წოდება.

**ხარკოვი.** (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „მედიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ტანვარჯიშში.

„მედიკის" საკავშირო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საქართველოს გუნდმა.

ქალთა შორის კარგ შედეგებს მიაღწია თბილისელმა სპორტის ოსტატმა ე. გაგოშიძემ, რომელიც გახდა საზოგადოების ჩემპიონი ექვსჭიდსა და რგოლებზე ვარჯიშში.

# მოსწავლეთა ჩემპიონატი

დამთავრდა თბილისის სკოლების მოსწავლეთა 1950 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე გ. გამრეკელმა. გოგონათა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ქალთა მე-17 საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. მანველოვა.



სახალხო-დემოკრატიულ უნგრეთში ფარიკაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. სპორტის ეს საინტერესო სახე სულ უფრო მასობრივი ხდება. **სურათზე:** ბუდაპეშტის ჩეპელის ქარხნის სპორტულ კლუბში მწვრთნელი ა. სარაზი ახალგაზრდებს ავარჯიშებს.

# ფიზიკურად კაჟდებიან სცენის ოსტატები

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მოწინავე მხატვრულ კოლექტივს — თბილისის ლენინის ორდენოსან რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრს ფიზკულტურული მუშაობის კარგი ტრადიცია აქვს. აქ სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული ახალგაზრდა მსახიობთა ფიზიკური წრთობის საქმე.

ახალგაზრდა მსახიობებს განსაკუთრებით უყვართ კალათბურთი. თეატრის გუნდი წარმატებით მონაწილეობდა მთელ რიგ შეჯიბრებებში, რისთვისაც მას მიღებული აქვს ქების სიგელები. 1949 წელს ბათუმში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს, გუნდმა კონკურს გარეშე მონაწილეობა მიიღო კალათბურთელთა შეჯიბრებაში აჭარის პირველობაზე და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. თეატრის სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა ამას წინათ ჩატარებული შეხვედრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტის წარმომადგენლებთანაც. ამ მატჩში კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ კ. მახარაძე, ნ. ჩხეიძე და გ. ნიკოლაიშვილი.

მსახიობი-კალათბურთელები ზაფხულის პერიოდში, თეატრის საგასტროლო მოგზაურობისას, ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების გუნდებთან, ხოლო შემოდგომაზე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პირველობის გათამაშებაში, რისთვისაც ამთავითვე მონდომებით ემზადებიან.

კარგი წარმატებები აქვთ ფრენბურთელებსაც.

ნაყოფიერად მუშაობს საჭადრაკო სექცია. ჭადრაკის თამაშის თეორიის შესწავლასთან ერთად ეწყობა ტურნირები და ამხანაგური შეხვედრები საჭადრაკო დაფებთან ხშირად ნახავთ რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს გ. საღარაძესა და ა. აფხაიძეს, ახალგაზრდა მსახიობებს ნ. ჩხეიძეს, გ. ნავროზაშვილს, ა. შიკანიანს და სხვ.

ამას წინათ ჩატარდა მოჭიდავეთა ტურნირი თეატრის პირველობაზე. ჩემპიონის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჟავია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. საღარაძე და სხვ. გამარჯვება წილად ხვდა ახალგაზრდა მსახიობს ვ. დოლიძეს. განზრახულია თეატრში უახლოეს ხანში ჩამოაყალიბონ ჩოგბურთელთა სექცია.

ფიზკულტურული ორგანიზაცია მონდომებით მუშაობს მშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

თეატრის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ნაყოფიერად გამოიყენონ არსებული ხელსაყრელი პირობები და უფრო მასობრივი, მრავალფეროვანი გახადონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

**ი. ზაქარიაძე,**
**თ. ლუარსაბიძე.**

# ჩვენ გვწერენ

## მეტი ყურადღება საექიმო ზედამხედველობას

მახარაძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან არ არსებობს საექიმო პუნქტი. რაიონში ფიზკულტურელები ფაქტიურად ყოველგვარ საექიმო ზედამხედველობას არიან მოკლებული. არ ხდება წესიერი სამედიცინო მომსახურება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დროს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მდგომარეობას.

**კ. ჩხაიძე**

ქ. მახარაძე

## სისტემატური წვრთნის შედეგად

ამ დღეებში ქ. სიღნაღში მოეწყო გათამაშება რაიონის პირველობაზე ფრენბურთში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ვაჟთა გუნდმა, ხოლო მეორე ადგილზე ამავე სკოლის ქალთა გუნდი გამოვიდა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ფრენბურთელთა კოლექტივები ამჟამად უძლიერესნი არიან რაიონში. ქვემო მაჩხაანელი ფრენბურთელები ვარჯიშს სპორტის ამ სახეში სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეებშივე შეუდგნენ ფიზკულტურის მასწავლებლის დ. გოგაშვილის ხელმძღვანელობით.

**ა. აბულაშვილი,**
ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

## ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება

ჩატარდა ქ. სოხუმის მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება ტანვარჯიშში.

მეორე თანრიგოსანთა შორის პირველი ადგილი მოიპოვეს ქალთა მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. ზუევამ და ვაჟთა მე-2 სკოლის მოსწავლე გ. პაპასკუამ, ხოლო მესამე თანრიგში — ვაჟთა პირველი სკოლის მოსწავლე ჯალაღონიამ.

გუნდური პირველობა ხვდათ ქალთა მე-3 სკოლის და ვაჟთა მე-2 სკოლის ნაკრებ კოლექტივებს.

**ნ. მიქაშავიძე**

სოხუმი.

# მძლეოსნური სეზონის სტარტზე

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტისაგან

სოჭი, ხოსტა, ლესელიძე, სოხუმი —აქ რამდენიმე კვირაა ვარჯიშობს საბჭოთა კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა ჯგუფი.

ემზადებიან რა დიდი და საინტერესო სეზონისათვის, საუკეთესო მძლეოსნები გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით საწვრთნელ შეკრებას ატარებენ.

აქ ემზადებიან პროფკავშირთა, შეიარაღებულ ძალთა, „დინამოს", „სპარტაკის", სამხედრო-საჰაერო ძალთა, „ნაუკას", „მედიკის" და სხვა საპორტო საზოგადოებათა გუნდები. აქ არიან უძლიერესი ქართველი მძლეოსნები ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი და სხვები.

ჩვენ დავესწარით სსრ კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა შეკრებას, სადაც ამ დღეებში ერთობლივი წვრთნის ჩასატარებლად აგრეთვე ჩამოვიდნენ სტუმრები ჩეხოსლოვაკიიდან—მსოფლიოს რეკორდსმენი ემილ ზატოპეკი, მისი მეუღლე—ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში—დანა ზატოპკოვა, ათჭიდის ცნობილი ოსტატი ბოლესლავ მორავეცი; უნგრეთიდან—მსოფლიო რეკორდსმენი—იმრე ნემეტი და ბადროს სახელგანთქმული მტყორცნელი ევროპაში ფერენც კლიჩი.

... დილაა. გაისმის მორიგე მწვრთნელის სასტვენის ხმა. სოჭის მაღალ გორაზე მდებარე სანატორიუმის ლამაზი კორპუსებიდან გამორბიან ლურჯ საწვრთნელ კოსტუმებში ჩაცმული ჩასკვნილი, ჯანსაღი ატლეტები, რომლებსაც მკერდზე თეთრი ასოებით უბრწყინავთ „СССР".

ვიცანით მორბენლები — ვანინი, პოპოვი, კაზანცევი, პუგაჩევსკი, კომაროვი, ზვერევი, სიდორენკო, დიომინი, არხაროვი, მოხტუნავეები—კნიაზევი, ზამბრიმბორცი, შჩერბაკოვი, როხლინი, მტყორცნელები—კანაკი, შეხტელი, ისაევი, ტუტევიჩი და მრავალი სხვა ჩემპიონი და რეკორდსმენი.

სანატორიუმის სასპორტო მოედანზე, საიდანაც მოსჩანს სოჭის შესანიშნავი ხედი და ზღვა, ტარდება „დაჭერვა".

• • •



**სურათზე:** ემილ ზატოპეკი საწვრთნელი ვარჯიშის დროს.

ფოტო ვ. ხემიანოვისა

დღისით დიდ მინდორზე და „მედიკის" სტადიონზე ჩვენ ვნახეთ ატლეტები. მორბენლები ემზადებიან საგაზაფხულო ამასთრბენისათვის და ვარჯიშობენ სისწრაფისა და ამტანობის გამოსამუშავებლად. სწრაფი მოკლე გარბენი, ნელი რბენა, მანძილების მონაკვეთები 300,600,1.200 მეტრი—აი, რაზე ვარჯიშობენ ისინი. დაუცხრომელი ვანინი ზედიზედ უვლის წრეებს „მედიკის" სტადიონზე, ალექსანდრე შეხტელი ახალგაზრდებს ავარჯიშებს ურის ტყორცნაში; რობერტ ლიულკო წვრთნის ნიჭიერ სპორტსმენთა ჯგუფს, ნიკოლოზ ოზოლინი მუშაობს ჭოკით მხტომელებთან — კნიაზევთან, სუხარევთან და სხვებთან. მეორე სარბენ ბილიკზე მიმდინარეობს თარჯმრბენელთა წვრთნა; სახტომ ორმოებთან დგას ედმუნდ როხლინი, რომელიც ხტომის ტექნიკას უხსნის 5-6 ახალგაზრდას.

აი, სტადიონზე მოვიდა სსრ კავშირის რეკორდსმენი და ჩემპიონი ჰეინო ლიპი. იგე ვარჯიშობს ბირთვის კვრაში, ბადროს ტყორცნაში, თარჯრბენში...

ასე ცოცხლად ტარდება თვითეული დღე სოჭის სტადიონზე.

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ატლეტებმა ამოცანად დაისახეს სსრ კავშირის მიღწევების გაუმჯობესება.

სულითა და გულით ვუსურვოთ ჩვენს ოსტატებს მიზნის მიღწევა. ეს წინ წასწევს საბჭოთა მძლეოსნობას ჩვენი საყვარელი დედასამშობლოს სასახელოდ.

დაე, ვიაროთ სულ წინ!

**ი. ვანიატი**

# აჭარის პირველობა ქართულ ჭიდაობაში

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). ჩატარდა აჭარის ასსრ პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ბათუმის და ქედის რაიონების 32 მოჭიდავე.

ორი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავეს ქალაქ ბათუმის მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ქობულეთის რაიონის გუნდი. თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ა. ქილიფთარმა, შ. ჩაფიძემ, კ. მოსაშვილმა, ს. კუტუბიძემ, გ. ჯორბენაძემ, წიკლაურმა, გ. ჭყონიძემ, ვ. კუპატაშვილმა.

# უცხოეთში

19 წლის ავსტრალიელმა ჯონ მარშალმა თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მან 402,3 მეტრი გასცურა 4:36,4. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა ამერიკელ სმიტს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**მ. კაკაბაძე**

გაზეთი გამოდის პარასკეობით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 15.000

უე 02978